გ ე ნ დ ე რ უ ლ ი თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციისა და ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენების შესახებ

2013

აღნიშნული პუბლიკაცია წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთათვის გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის იმპლემენტაციის გაადვილების და კანონის ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალური გამოყენებისათვის. სახელმძღვანელო დოკუმენტი შემუშავდა დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებისათვის.

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის ერთ-ერთი მიზანია, გაიზარდოს ქალების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათ ადგილობრივ დონეზე მიეცეთ შესაძლებლობა ჩაერთონ თემის განვითარების პროცესში. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში გადაწყვეტილების მიღებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა ახალი მუნიციპალური სერვისი ქალთა ოთახების სახით. აქ წარმოდგენილი დოკუმენტი დახმარებას სთავაზობს თვითმართველობის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით, გამგეობის რწმუნებულებს, რომლებიც უშუალოდ სოფლების მოსახლობასთან მუშაობენ გენდერული თანასწორობის მიზნის მიღწევაში.

ქალთა ოთახების შეხებ ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე:
www.wr.ge

Women's Room
ქალთა ოთახი

წ ა ლ კ ა

დ მ ა ნ ი ს ი

თ ე თ რ ი წ ყ ა რ ო

შინაარსი

1. შესავალი 4

2. კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ 5

მუხლი 2: კანონის მიზანები 5

მუხლი 4: სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების სფეროში 5

მუხლი 10: გენდერული თანასწორობა საოჯახო ურთიერთობებში 6

მუხლი 13: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ.....6

3. ქცევის კოდექსი და სახელმძღვანელო პრინციპები ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისათვის – გამგეობის რწმუნებულებისათვის 8

ქცევის კოდექსი 8

სახელმძღვანელო პრინციპები.....8

4. სოფლის კრებების ჩატარების დროს გამგეობის რწმუნებულებმა უნდა გაითვალისიწინონ შემდეგი 10

საკონტროლო კითხვები გენდერული ანალიზისათვის გამგეობის რწმუნებულებისათვის 12

5. ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში ინტეგრირებული გენდერული მიდგომა 14

ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაში ქალთა მონაწილეობის ბარიერები 14

რეკომენდაციები არსებული გენდერული პრობლემების დაძლევისათვის.....15

1. შესავალი

აღმნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის[1], კერძოდ კი, გამიზნულია გამგეობის რწმუნებულებისათვის, რათა მათ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში გამოიყენონ კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ და შექმნან იმგვარი გარემო, სადაც ქალები ჩართულნი იქნებიან ადგილზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არ იქნება დაშვებული ამ მიმართულებით რაიმე ფორმის დისკრიმინაციული პრაქტიკა:

კანონი შემდეგნაირად განმარტავს გენდერულ თანასწორობას და დისკრიმინაციას

გენდერული თანასწორობა – ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებამოვალეობებს, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

დისკრიმინაცია – სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა ან/და შეზღუდვა, რაც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან სრული უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაცის ფორმით.[2]

1 საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. მე-4 მუხლის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენს: საკრებულო, გამგეობა, გამგეობის რწმუნებულები.

2 კანონი გენდერული თანასწოროობის შესახებ. მუხლი 3.

2. კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ მიღებულ იქნა 2010 წლის მაისში საქართველოს პარლამენტის მიერ.

გთავაზობთ გენდერული თანასწორობის შესახებ კანონიდან ამონარიდებს, რომელიც უშუალოდ ეხება ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობას კანონის იმპლემენტაციის საქმეში.

მუხლი 2. კანონის მიზნები

კანონის მიზანია უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის მიღწევა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს სქესის ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.

მუხლი 4. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების სფეროში

ბ) სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზის განხორციელება გენდერული თანასწორობის დაცვისა და უზრუნველყოფის მიზნით;

ზ) სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას გენდერული თანასწორობის პრინციპისა და მისი რეალიზაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების გათვალისწინება;

თ) მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისკენ, ასევე სოციალური სფეროს განვითარებისაკენ მიმართულ სახელმწიფო პროგრამებში გენდერული თანასწორობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების ჩართვა;

ვ) ხელმისაწვდომობა ყველა პროფესიაზე, პროფესიულ წინსვლასა და თანაბარი შრომის პირობებში თანაბარ შრომის ანაზღაურებაზე;

ზ) საჯარო სამსახურში ყველა დონის თანამდებობის დაკავება პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

თ) პიროვნების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა და პირობების შექმნა დასაქმებისა და თვითრეალიზაციისათვის;

ი) ინფორმაციაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა და სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმოება;

კ) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 10. გენდერული თანასწორობა საოჯახო ურთიერთობებში

1. საოჯახო ურთიერთობებში ქალი და მამაკაცი სარგებლობს თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები. საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება სქესის ნიშნით უფლება-მოვალეობათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება.

2. ოჯახში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლება აქვთ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხი.

მუხლი 13. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს

ადგილებზე გენდერული უთანასწორობის გამოვლენისა და დაძლევის უზრუნველსაყოფად, ადგილებზე მუნიციპალური ბიუჯეტების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების შემუშავებაში ითვალისწინებენ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და მათი დაცვის საკითხებს.

2. სახელმწიფო ორგანოები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში აღმოუჩენენ ორგანიზაციულ, საინფორმაციო და სხვა სახის დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მათ საქმიანობაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და დაცვის მიზნით.

3. ქცევის კოდექსი და სახელმძღვანელო პრინციპები ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისათვის – გამგეობის რწმუნებულებისათვის

ქცევის კოდექსი

ვეყრდნობით სოფლად ჩვენი მუშაობის გამოცდილებას და ცოდნას ჩვენი თემის შესახებ;

ვიღებთ მხედველობაში გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

გავეცანით ჩვენს მუნიციპალიტეტში ჩატარებული გენდერული კვლევების შედეგებს;

ჩვენ ვაცხადებთ ერთგულებას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპების მიმართ; ვაკეთებთ ყველფერს, რომ გენდერულ თანასწორობას ჩვენს საზოგადოებაში (სოფელში) ხელი შეეწყოს; ვქმნით ისეთ პირობებს, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში ქალისა და კაცის თანასწორ როლს, სტატუსს, უფლებებს და შესაძლებლობებს საზოგადოებრივ თუ ოჯახურ სფეროში ნორმად აქცევს.

ჩვენდამი რწმუნებულ სოფელში (მუნიციპალიტეტში) ჩვენი უფლებამოსილების და ფუნქციების ფარგლებში ჩვენ ვხელმძღვანელობთ ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპებით:

სახელმძღვანელო პრინციპები

1. ქალთა თანასწორი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში შინამეურნეობისა და თემის დონეზე გაზიარებული ღებულება უნდა იყოს ჩვენ საზოგადოებაში.
2. კულტურული ნორმები ხშირად ქალს სოფლის შეკრებებში

და მისი თემის ან სოფლის შესახებ მნიშვნელოვანი გადაწ-ყვეტილების მიღებაში პირდაპირი მონაწილეობის გარეთ ამყოფებს, რაც გასათვალისწინებელია.

3. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, რომ ოჯახებს, სადაც მარჩენალი ქალია, სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა, რომ სხვებთან თანაბრად მიიღონ ინფორმაცია და საზოგადოებრივი სარგებელი.

4. ჩვენ ვფლობთ ზუსტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენია ჩვენს თემში (სოფელში) ოჯახი, სადაც მარჩენალი ქალია.

5. ჩვენი მუშაობით ჩვენ გვინდა შევცვალოთ ის პირობები, რომლებიც იწვევს უთანასწორობას და შევქმნათ პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალებს თვითონ იზრუნონ საკუთარ განვითარებაზე.

6. ჩვენ ვმუშაობთ ჩვენი თემის მამაკაცებთან, რათა მათთვის უფრო გასაგები გახდეს, რომ ქალები მათი თანასწორნი არიან სამუშაოზეც და სახლშიც.

7. ჩვენ ვნიშნავთ შეხვედრებს იმის გათვალისწინებით, რომ ქალებს დღის გარკვეულ დროს შეიძლება უჭირდეთ მოსვლა.

8. ჩვენ ვქმნით ისეთ გარემოს, რომელიც ორივე სქესის ადამიანებს დაიცავს სიტყვიერი, თუ ქცევითი შეურაცხყოფისგან.

9. ჩვენი საქმეები ხელს უწყობს დაცული და უსაფრთხო გარემოს არსებობას გოგონებისთვის.

10. ჩვენი საქმეები ხელს უწყობს სამართლიანობას ქალებისა და კაცებისთვის რომ გოგონებმა მიიღონ სრული განათლება და ასევე, ყველანაირად ვუპირისპირდებით იმ აზრს, რომ გოგონებს არ სჭირდებათ სრული და ხარისხიანი განათლება.

4. სოფლის კრებების ჩატარების დროს გამგეობის რწმუნებულებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი

საჭიროა შემდეგი ზომების გატარება, რათა ქალების დასწრება უზრუნველყოფილ იქნას სოფლის კრებებზე:

1. აღრიცხეთ დამსწრეები;
2. სიტყვიერად წაახალისეთ ოჯახები, რომელთა წევრი ქალებიცა და კაცებიც ესწრებიან ;
3. როცა შეკრება, ან რაიმე სოფლისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიება მზადდება დარწმუნდით, რომ ქალებმაც წინასწარ იციან ამის შესახებ. ამისთვის გამოიყენეთ (შექმენით) ქალთა საინიციატივო ჯგუფები; გამოიყენეთ ქალებისთვის ხელმისაწვდომი და თქვენი წესებისთვის მისაღები ინფორმაციის გავრცელების ფორმები (ბავშვები, მეზობლები, განცხადება სკოლაში და სხვა);
4. ჩაატრეთ ღონისძიება დღის ისეთ დროს, როდესაც ქალების შეძლებენ მოსვლას, ჰკითხეთ მათ წინასწარ ამის შესახებ; გაითვალისწინეთ, როდისაა ქალი უფრო დატვირთული მეურნეობით, საქონლის მოვლით, ბავშვებით.
5. არის საკითხები, რომელთა განხილვისთვის პრინციპი: „ოჯახიდან ერთი წევრი“ არ არის ოპტიმალური. იფიქრეთ შესაძლებლობაზე, რომ ადამიანებს მოეთათბიროთ როგორც ერთმანეთისგან განსხვავებულ ინდივიდებს: ქალებს, მამაკაცებს, ახალგაზრდებს, ასაკოვნებს, მეტი, ან ნაკლები ეკონომიკური შესაძლებლობების მქონეს, დაოჯახებულს ან დაუოჯახებელს. გახსოვდეთ, რომ თუ მხოლოდ ოჯახურ პრინციპს დაეყრდნობით, თქვენ, მაგალითად, ვერასოდეს გაიგებთ დაუოჯახებელი 35 წლის ქალის აზრს და ვერ გამოიყენებთ მის შესაძლებლობებს პრობლემის გადაწყვეტაში.

6. ხელი შეუწყეთ ისეთ გარემოს, რომელიც იქნება თქვენი კულტურიდან გამომდინარე მისაღები, უსაფრთხო და არადამამცირებელი ორივე სქესისთვის;

7. ნუ შექმნით წინააღმდეგობას, თუ ქალები (მით უფრო მამაკაცები) შეკრებაზე თავიანთი ბავშვებით მოვლენ;

8. საგანგებო ყურადღება გამოიჩინეთ იმ ქალების მონაწილეობის მიმართ, რომლების ოჯახის მარჩენლები არიან; ისინი ორმაგად არიან დატვირთულები, თუმცა სათქმელიც მეტი აქვთ;

9. ნუ ჩათვლით, რომ კაცის მიერ გამოთქმული აზრი მისი ოჯახის წევრი ქალების აზრსა და შეხედულებებს მთლიანად გამოხატავს. წაახალისეთ ქალები, რომ თავიანთი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები თვითონ გაუზიარონ აუდიტორიას.

10. როდესაც სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხი წყდება, დარწმუნდით, რომ სხვადასხვა სოციალური ფენის და ასაკის ქალებსაც შეეძლოთ აზრის გამოთქმა.

11. საქმეს, რომელსაც დაგეგმავთ, როგორც წესი, შემსრულებლები და მაკონტროლებლები სჭირდება. შეეცადეთ როლები ისე გაანაწილოთ, რომ ორივე ჯგუფში ქალებიცა და მამაკაცებიც დაახლოებით თანაბრად იყვნენ.

12. თუ კულტურული ნორმები ჯგუფში ქალებისა და კაცების ერთად ყოფნას ზღუდავს, წაახალისეთ ოჯახური წყვილების მონაწილეობა;

საკონტროლო კითხვები გენდერული ანალიზისათვის გამგეობის რწმუნებულებისათვის

√ რამდენი მამაკაცი და ქალი ცხოვრობს თქვენს თემში?

√ რამდენი მოზრდილი ქალი და მამაკაცია ოჯახებში საშუალოდ?

√ რა განსაზღვრავს იმას, თუ ვინ გახდება ოჯახის უფროსი – სქესი? ასაკი? საკუთრება?

√ შეიცვალა თუ არა რაიმე ბოლო წლებში? რატომ? როგორ აისახა ეს ოჯახის შიგნით ურთიერთობებზე? არის ოჯახები, სადაც ოჯახის უფროსი ქალია?

√ ვინ არის წარმოდგენილი თემისთვის მნიშვნელოვან თანამ-დებობებზე?

√ რამდენი მამაკაცი/ქალია საკრებულოში?

√ რა მოვალეობებს ასრულებენ ისინი?

√ ვინ არის სკოლის დირექტორი? ექიმი?

√ ვინ განახორციელა წარმატებული ბიზნესი?

√ ვინ არის თემში ავტორიტეტული პირი?

√ ქალთა რა ჯგუფებს გამოჰყოფდით თქვენს თემში?

√ მამაკაცთა რა ჯგუფებს გამოჰყოფდით თქვენს თემში?

√ იცით, თუ არა თქვენი თემის ქალთა საჭიროებები? (რა სჭირდებათ ქალებს პირველ რიგში)

√ იცით, თუ არა თქვენი თემის მამაკაცთა საჭიროებები? (რა სჭირდებათ მამაკაცებს პირველ რიგში)

√ რას გააკეთებდით რომ გაიგოთ ეს საჭიროებები?

√ რამდენად მნიშვნელოვანია ის, რაც ქალებს სჭირდებათ?

√ პირველ რიგში რა სახის საჭიროებები უნდა დაკმაყოფილდეს? რატომ?

√ რა სახის პრობლემებს ეხება ეს საჭიროებები?

√ რა ტრადიციული უფლება-მოვალეობები ჰქონდათ ქალებსა თუ მამაკაცებს?

√ შეიცვალა ეს უფლება-მოვალეობები? (მაგ. ახალი როლები, ან დატვირთულობა, ან რისკის შემცველი ფაქტორები, და ა.შ

√ რა იყო ამის მიზეზი?

√ თქვენი აზრით, ეს ცვლილებები ახალ პრობლემებს ქმნის, თუ ახალ შესაძლებლობებს?

5. ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში ინტეგრირებული გენდერული მიდგომა

ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაში ქალთა მონაწილეობის ბარიერები

ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩართულობას ხელს უშლის შემდეგი ფაქტორები:

- გენდერულად განცალკევებული მონაცემები არ გროვდება;
- ადამიანები, რომლებიც მუშაობენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საკმარისად არ არიან ინფორმირებულნი გენდერული თანასწორობის მიმართულებით ცენტრალური მთავრობის ინიციტივების შესახებ (საკანონმდებლო და საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები)
- არ არის ინფორმაცია და საკმარისი ცოდნა, ან არ არსებობს ადექვატური გაგება ისეთი ტერმინების და კონცეფციების როგორიცაა: გენდერული პროგრამები, გენდერული ბალანსი, გენდერული ბიუჯეტირება. ეს კი ართულებს გენდერული სტრატეგიისა და პოლიტიკის განვითარებას.
- აღქმები გენდერული სტერეოტიპების გავლენით ყალიბდება (სტერეოტიპები ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ვაჟების შესახებ) და არა კვლევებისა და მიუკერძოებელი ინფორმაციის შედეგად;
- არ არსებობს სტრატეგია ან ხედვა, როგორ შევცვალოთ ტრადიციული დისკრიმინაციული პრაქტიკა ქალებისა და კაცების შესახებ სოფლის მოსახლეობაში.

რეკომენდაციები არსებული გენდერული პრობლემების დაძლევისათვის

ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ინიციატივა, რომელიც დაეხმარება ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს გენდერის ინტეგრირება მოახდინონ თავიანთ საქმიანობაში:

- ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი კამპანია ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად გენდერული თანასწორობის კანონთან დაკავშირებით;
- სემინარების ორგანიზება თვითმმართველობის თანამშრომლებისათვის სქესით დაცალკევებული მონაცემების მნიშვნელობასა და მეთოდოლოგიაზე;
- გენდერულ ბიუჯეტთან დაკავშირებული ტრენინგი ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებთან ერთად;
- მარტივი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება გამგეობის რწმუნებულთათვის, რათა მათ დაარწმუნონ ქალები, მონაწილეობა მიიღონ თემის შეხვედრებში;
- ადგილობრივი ხელისუფლების საუკეთესო გენდერული ინიციატივების პოპულარიზაცია;
- ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე სკოლამდელი დაწესებულების საჭიროების შესახებ დასაქმებული დედებისათვის, ადგილობრივ ბაზარზე მათი მონაწილეობის მხარდასაჭერად;
- მუნიციპალიტეტებმა უნდა იზრუნონ ბაგა-ბაღების დაარსებაზე ადგილობრივი ბიუჯეტის გამოყენებით.

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

MercyCorps

ALLIANCES

აღნიშნული ინიციატივა ხორციელდება „ალიანსები ქვემო ქართლი“ პროგრამის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს მესაქონლეობის სექტორის განვითარებას ქვემო ქართლის სამ მუნიციპალიტეტში. პროგრამა ხორციელდება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშორმლობისა სააგენტოს მხარდაჭერით, „მერსი ქორფსი – საქართველო“-ს მიერ.

ICCN

„კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი“ (ICCN) „ალიანსები ქვემო ქართლი“-ს პარტნიორი ორგანიზაცია

ISBN 978-99940-805-3-3

გარეკანზე გამოყენებულია ჰელენ ბრედბერის ფოტო